წელიწადი 1-ლი | გაზ. ფასი 10 კ. | ტელეფონი № 76. | შაბათი ივლისის 8 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
ნახევარი წლით . . 10 მან.
თვიურათ . . 2 მან.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე [illegible]
[illegible] 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ლირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა [illegible] ნაწყვეტები [illegible]
2 საათის შემდეგ . . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება [illegible]
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.
კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 73 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 73

თავზარდაცემულნი პოდპორუჩიკი აპოლონ როსტომის ძე და ფუცუ ზურაბ ელიავას ასული, ემილია, პოლინა, ვენერა, პორუჩიკი არდალიონი, მორისი კაკო, ჟორჟიკა და მასიკა მიქელაძეები, კატო ელიავას ასული ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ, და მეგობართ პირველნი საყვარელი შვილისა, მეორენი დაუვიწყარი ძმისა და მესამე ძვირფასი დის წულისა კაპიტან

ტიტიკო (ევგენი) აპოლონის ძის
მიქელაძის

უდროვოთ გარდაცვალებას ქ. ოდესაში ჩამოსვენების და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

თბილისშიმიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიური ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.
რედაქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**
გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**

ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი
ამით აცხადებს, რომ ქუთათურ კოოპერატივებს და ქალაქის დუქნებს დაურიგდა გასაყიდად ადგილობრივი სიმინდის ფქვილი. ფუთი სიმინდის ფქვილი იყიდება 4 მან. 10 შაურად.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი
საზაფხულო შენობა.
ივლისის 6, 1917 წ. ნაჩვენები იქნება 1 ქრონიკა გუმონი მიმდინარე ამბები. 2, 3, 4, 5, 6 ნაწ. ომი უმნიშვნელო მიკრობებისა. ნაგრადსკოის რომანიდან. დრამა 5 ნაწ. მონაწ. ანდრეევა, ლავინა, ვლადოვი, ვისაროვი და პორფიროვი.
**ანონსი:** ივლისის 10, 11, 12, ნაჩვენები იქნება საგულისხმიერო სურათი
ვინ არის დამნაშავე
მხატვრული დრამა 5 ნაწ. მონაწ. იღებენ სახელმწიფო თეატრის მსახიობები ვ. ა. პოლონსკი და მ. მ. გორიჩევი. როგორ შეიქნა კუბიშკინი მსაიობი სახუმარო.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი
საზაფხულო შენობა.
ივლისის 6, 1917 წ. ნაჩვენები იქნება მხატვრული დრამა ს. კრავჩინსკი-სტეპანიევის მოთხრობიდან
ანდრო კოჟუხოვი
დრამა 2 სერიათ 8 ნაწ. რევოლუციონერების ცხოვრებიდან 70 წ. მონაწილეობას ღებულობს მოზუხინი, რიმსკი, აზალაროვი და ვალევსკაია.
**ანონსი:** ივლისის 10, 11, 12, ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი
ლინა ექსპერტიზის ქვეშ
ფარსი 4 ნაწ. მონაწ. ლინა ბაუერისა, ბეიტლერის, ხერუვიმოვის და სხ. განსაკუთრებით მოზდილთათვის.

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეჯიბლოვებისა.
ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



შაბათს ივლისის 8, 1917 წ. გაიმართება სასპორტო ატლეტური წარმოდგენა, რომელიც შესდგება ცირკის საუკეთესო რეპერტუარისაგან. განმეორება ბენეფისისა ფლორენსის და კრისტის. 49 დღეა ქალთა ფრანგული ჭიდაობისა.

დღეს იჭიდავებს 4 წყვილი:

1. ვახტუროვა და რიურიკი. 2. აზელკროკი და სულეიმანი. 3. რომანოვა და პეტერსონი. 4. ანატემა და ივერი.

დასაწყისი 8 ნახევარ საათზე საღამოს. ჭიდაობის დასაწყისი 10 საათზე.

## დღეს:

**წერილები:**

მედგარი.—საგულისხმო მოვლენა.
ქართული პრესა.
დ. ბააზოვი. – საქართველოს ებრაელნო!

**ცნობები:**

პეტროგრადის ამბები. რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნული კითხვა. უკრაინის გენერალ-სეკრეტარის დეკლარაცია. მიწის კითხვა. გურია. ელ. ხელთუფლიშვილის ხსოვნას. რუსეთი. უცხოეთი. ახალი ამბავი.

**ვიყიდიდი** ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონს. იკითხეთ რედაქციაში ი. ხანახშვილი.

იბეჭდება და მალე გამოვა
ნარკვევი
ტიტე მარგველაშვილისა
საშუალებანი ჩვენი ეკონომიური აღორძინებისათვის.

გამოცდილი მასწავლებელი
(სტუდენტი) ამზადებს მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისთვის.
ნახვა შეიძლება ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბაში დილის 11 საათიდან 3 ს.
თ—1

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე
იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს
ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტემინსკის სახლი.

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

## საგულისხმო მოვლენა.

მსოფლიო ისტორიის სალარაში ერთი ახალი საგულისხმო მოვლენა შეიჭრა: უკრაინამ ეროვნული კონსტიტუცია შეიმუშავა და გამოაქვეყნა, რომელსაც საფუძვლათ იგი წმინდა ზნეობრივ პრინციპს უდებს: ხალხის ნდობას და ნების ყოფასა. უკრაინამ რუსეთის ყველა სხვა ერებზე მეტი რევოლუციური მომზადება და გატაცება გამოიჩინა. რევოლუციის დასაწყისშივე ისარგებლა ახალი პოლიტიკური მდგომარეობით თვისი უფლებათა აღდგენისათვის და წამსვე მიმართა რიალ ძალას, ეროვნული ჯარის შექმნას და დარაზმვას. ცენტრალმა რადამ თავის გარშემო მჭიდროთ შემოიკრიბა მთელ უკრაინა. ის შეიქმნა კვარცხლბეკი უკრაინულ რევოლუციისა. რადამ მთელს რუსეთს მოსდო ეროვნულ ორგანიზაციათა ქსელი. სადაც კი მოიპოვებოდა უკრაინელი მით უმეტეს უკრაინელი ჯარის კაცი, მთელს რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზე, ყველგან მისწვდა რადას გამათბობელი ხელი უკრაინელ მამულიშვილის ცხოველ გულს. ეხლა უკრაინისათვის სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოწესრიგებას შეუდგა. პეტროგადის მთავრობას რადა ისე უყურებს, როგორც რომელიმე უცხო ქვეყნის მთავრობას, რომელსაც რადა არასდროს არ უმტრობს, მაგრამ არც ნებას მისცემს განუკითხავად ჩაერიოს თვის შინაურ საქმეებში. უკრაინის დემოკრატიას თვითონ ჰყავს საკუთარი მთავრობა, მისივე შექმნილი და მისივე ნდობით აღჭურვილიო რადგანაც უკრაინის მთავრობის არსებობა ეყრდნობა ზნეობრივ პრინციპს — ხალხის ე. ი. იმავე დემოკრატიის ნდობას და ნების ყოფას, სხვა ერის, სხვა ქვეყნის, პეტროგრადისა თუ სხვ. მთავრობას აღარავითარი უფლება აქვს უკრაინის საქმეებში ჩარევისა, რომელსაც მართავს უკრაინის დემოკრატია თავისი ნდობით მოსილ და არჩეულ პირთა საშუალებით. შინაგან საქმეთა მოგვარებაში ხალხის ნამდვილ მმართველათ გარდაქმნილი რადა ცდილობს კიდევ უფრო გაუმაგროს ფესვები უკრაინის ახალს სახელმწიფოებრივ წესწყობილებას აგიტაცია—პროპაგანდის საშუალებით და უკრაინაში მობინადრე უცხო ერებთან შეთანხმებით. მაგრამ უკრაინის ამბები საინტერესოა არა მარტო უკრაინულ ისტორიისათვის, არამედ საინტერესო ხდება იგი რუსეთის სხვა ერთათვისაც იმ დადგენილების გამო, რომელიც ეხება რუსეთის ყველა სხვა ერთა წარმომადგენლების მოწვევას, ეროვნულ უფლებათა დაცვის საქმის შეთანხმებით მოსაწყობათ. ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა და მის შესასრულებლათ ნაბიჯების გადადგმა ნიშნავს, რომ უკრაინა მთელი რუსეთის ერებს მესვეურობას უწევს ეროვნულ უფლებათა აღდგენისათვის ბრძოლაში. რადგან უკრაინამ იმ თავიდან ნათლად შეიგნო ეხლანდელი რევოლუციის მნიშვნელობა ისტორიისათვის და სათანადოთაც ისარგებლა მითი. უკრაინა, უნდა ვიმედოვნოთ, შესძლებს იმ ძნელ საქმის შესრულებასაც, რომელიც მას ეხლა მიზნათ დაუსახავს. რუსეთის ყველა ერი მოვალეა თავის, ხმა გასცეს უკრაინის მოწოდებას, გაუწოდოს ხელის სხვა ერებს, შეჰკრას მათთან კავშირი და გააძლიეროს იგი ეროვნულ უფლებათა დაცვისათვის ბრძოლაში და მით გამაგრდება და გაძლიერდება თვით ყოველი უფლება-აყრილი ერიც. თუ აქამომდე უკრაინის რადა ცენტრი იყო მხოლოთ უკრაინის ეროვნულ რევოლუციისა, იგი გახდება ცენტრი რუსეთის დანარჩენ ერთა ეროვნულ მოძრაობისთვისაც. თუ უკრაინა მართლაც შესძლებს და გაახორციელებს თვის დიად მიზანს ერთათვის გარშემო შემოკრეფვისას, ამით შეიქნება უდრეკი ძალა, რომელიც გადალეკს, საბოლაოთ დათრგუნავს ყოველგვარ დაბრკოლებას პატარა ერთა განთავისუფლებისათვის.

**მედგარი.**

## ქართული პრესა.

უკრაინის ავტონომია.

გაზეთი „ერთობა“ უკრაინის ავტონომიის კითხვას უძღვნის მეთაურებს, რომელშიაც სხვათა შორის აღნიშნავს, რომ რუსეთის განთავისუფლებულმა დემოკრატიამ სხვა, უსამართლობებთან ერთად ეროვნული უსამართლობაც მოსპო და შემდეგ სწერს:

მხოლოდ საქმე იმაშია, რომ რუსეთის რევოლუცია ჯერ საკმარისათ არ გაღრმავებულა, მისი მამოძრავებელი ძალები ორგანიზაციულათ ჯეროვანათ არ შეკავშირებულან. მას ჯერჯერობით ყველა მხრიდან საფრთხე მოელის და მის მიერ მოპოვებულ უფლებას მრავალი მტრები უჩნდებიან: ამიტომაც რევოლუციონური დემოკრატიის მიერ მოპოვებულ სოციალურ პოლიტიკურ უფლებას მუდამ თავს[illegible]ესხმიან და მოპოვებულ თავისუფლებას ხელიდან გამოგლეჯას უპირებენ.

კონტრ-რევოლუციონური კლასი მუდამ იმის ცდაშია შესაფერი მომენტი იპოვოს, შესაფერი დრო იხელთოს, რომ ხალხის მიერ მოპოვებულ თავისუფლების წინააღმდეგ ხალხი აამხედროს და ხალხის მიერ მოპოვებული თავისუფლება არარათ გახადოს. ბურჟუაზიული კლასი ყოველ გარემოებას, ყოველ შემთხვევას თვალყურს ადევნებს და მას კონტრრევოლუციონურ მასალათ იყენებს. იგი მუდამ მზათ არის რევოლუციონური კლასის, მიერ გადადგმული ნაბიჯი სახელმწიფოსა და მთელი ერის დამღუპველათ გამოაცხადოს და რევოლუციონერების წინააღმდეგ ფართო შეუგნებელი მასა აამხედროს.

ერთ ასეთ საბუთათ, რომლითაც კონტრრევოლუციონური ბურჟუაზია ფართოთ სარგებლობს არის რუსეთის სახელმწიფოში წვრილ ერთა ნაციონალური თავისუფლების მიცემის საკითხი. ფინლიანდიის დამფუძნებელ კრებამდის გამოყოფის სურვილი რუსეთის ბურჟუაზიამ ფართოთ გამოიყენა და ხალხს სამშობლოს „დაცვისაკენ“ მოუწოდა; ასევე ფართოთ გამოიყენებს უკრაინის რადის მიერ წამოყენებულ სურვილებს და მას საავიტაციო მასალათ გაიხდის.

ეჭვს გარეშეა დამფუძნებელ კრებამდის ნაციონალური საკითხის მთელი თავისი სიფართოვით წამოყენება და მისი ნაციონ. პოლიტიკური პირობების საბოლოოთ შემუშავება რუსეთის კონტრრევოლუციონურ ძალების ამოძრავებას დააჩქარებს და მით რევოლუციის გაღრმავება გაფართოებას საფრთხეს მოუმზადებს.

მოვახსენებთ პატივცემულ გაზეთს, რომ ფინეთისა და უკრაინის ავტონომიის კითხვას ამ ორივე ერის სოციალ-დემოკრატებმა სავსებით მხარი დაუჭირეს და უკრაინის ეროვნულ მოძრაობის სათავეში სოც. დემოკრატი მწერალი ვინნიჩენკო ჩაუდგა. ამას გარდა, ამა თუ იმ ერის ეროვნულ მოთხოვნილებათა რუს. დროებითი მთავრობის მიერ დროით დაკმაყოფილება და ძველი მთავრობის მიერ მიყენებული წყლულის დაამება უფრო მეტს ერთგულებას გამოიწვევს რუსეთის რევოლუციისადმი. ამის მშვენიერი საბუთი დღევანდელ ჩვენ გაზეთში მოყვანილი ცნობა: უკრაინელ ჰუსართა პოლკს კერენსკისთვის უთხოვია, რომ იგი „სიკვდილის ბატალიონთა“ რიცხვში ჩაირიცხოს, რათა ხელი შეუწყოს რევოლუციურ რუსეთის გერმანელთა შემოსევისაგან დაცვას...

რომ წვრილ ერთა ეროვნულ მოთხოვნილება პირიქით აძლიერებს და არა ასუსტებს რევოლუციურს ძალებს, ნათლად ჰმოწმობს იმავე სოც.-დემოკრატების მეორე გაზეთი „ალიონი“:

დიდი მნიშვნელობა და ფასი აქვს მთავრობის ამ ნაბიჯს ეროვნულ საკითხის მოწესრიგების საქმეში. ეს ნაბიჯი იმ თავითვე უნდა გადაედგა მთავრობას, თუ გინდ დეკლარაციის სახით, და მაშინ ეროვნული საკითხი ასე აღარ გამწვავდებოდა. დროებითი მთავრობა კი რევოლუციის სახელით ეროვნულ საკითხს განზე სდებდა ვითომ ამ საკითხის დაყენება და ერთა ეროვნულ ინტერესების თანახმად გადაჭრა რევოლუციის ძალას დაქსაქსავდა და თვით რევოლუციას შეაფერხებდა. ეხლა კი გამოდის, რომ პირიქით რევოლუციის ძალას ასუსტებს და ეროვნულ საქმეს ამწვავებს და ართულებს სწორედ ეს განზე გადადება ეროვნულ საკითხისა, იგი იწვევს არა სასურველ სეპარატიულ მიმდინარეობათა გაძლიერებას და აბრკოლებს დემოკრატიის გაერთიანების საქმეს. ეს ცხადათ გვიჩვენა ცხოვრების სინამდვილემ და მთავრობაც დღეს სხვა გზას დაადგა.

გაზეთის აზრით რევოლუციის ძალთა უკეთესად დარაზმვისთვის სხვა ერთა

მოთხოვნილებაც უნდა დაკმაყოფილოს დრ. მთავრობამ:

სხვა ერის საქმესაც ამ გზით უნდა მოუაროს თავს დროებითმა მთავრობამ სწორედ რევოლუციისა და დემოკრატიის ინტერესების სახელით. ერებმაც უნდა შეიგნონ რევოლუციის საერთო ინტერესები და მის გასამარჯვებლათ სრულიად რუსეთის დემოკრატიასთან ერთად დარაზმოს, შეაკავშიროს და აამუშაოს მთელი თავისი ძალღონე. რევოლუციის გამარჯვება თავდებია ერთა განთავისუფლებისა რუსეთში.

## პეტროგრადის ამბები.

### საალყო წესები.

პეტროგრადში საალყო წესები გამოცხადდა. ღამე ქუჩაში გასვლა აღკრძალულია. წესიერების აღდგენა მინდობილი აქვს ღენერალ პოლოვცეს, რომელსაც უფლება აქვს მინიჭებული თუ საჭირო იქნება უსასტიკესი ზომები მიიღოს.

### ლენინის კაბინეთი.

ბოლშევიკებს განუწყვეტელი კრებები აქვთ ქშესინსკის სასახლეში.. სხდომებს თავმჯდომარეობს ლენინი. სასახლის წინ აუარებელი ხალხი ირევა და მრავალი ხმები ვრცელდება. ამბობენ ბოლშევიკების ცენტრალმა კომიტეტმა უკვე შეადგინა ახალი სია კაბინეთისა, რომელშიაც ლენინი, ტროცკი და ზინოვიევი შევლენ.

### სახელმწიფოს თავდაცვის კომიტეტი.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ სამი კაცისაგან შესდგება სახელმწიფოს თავდაცვის კომიტეტი, რომელსაც ფართო უფლებანი მიენიჭება. კომიტეტში შევლენ: წერეთელი, კერენსკი და ნეკრასოვი.

### მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში შეუწყვეტლად თათბირობს პრეზიდიუმი. საერთო სხდომაზედ წერეთელმა განაცხადა: მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს უწინაღმდეგოდ შეუძლია ხელთ იგდოს სრული ძალი-უფლება, მაგრამ ეს იქნება სამსახური კონტრ-რევოლუციისადმი. საბჭოს დამცველი ჯარი გარს არტყავს და სხდომები ნერვიულ განწყობილებაში სწარმოებს.

### „ბოლშევიკები“ და კრონშტანდტელი მატროსები მოქალაქეთ ატუსაღებენ.

ქუჩებში „ბოლშევიკები“ მოქალაქეთ აჩერებენ და მათვის საეჭვო პირთ ატუსაღებენ, მათ მიერ დატუსაღებულთა რიცხვი უკვე 300 აღემატა. აგრეთვე კრონშტადის მატროსები კერძო ბინებს ჩხრეკენ.

### ფინლიანდია მოწყვეტილია რუსეთს

ფინლანდიის სადგური ჯერ კიდევ აჯანყებულ ჯარის ხელშია და ყოველი მიმოსვლა ფინლანდიასთან შეწყვეტილია

### „ბოლშევიკები“ ტელეგრაფის ხელში ჩაგდებას ლამობენ.

ტელეგრაფის შენობასთან დიდი მიტინგები იმართება. „ბოლშევიკების“ მომხრე ტელეგრაფის მოსამსახურებმა გუშინ დიდი მიტინგი გამართეს, მაგრამ მალე იძულებულნი იქმნენ დაშლილიყვნენ. აგრეთვე გუშინ ღამით „ბოლშევიკების“ ჯგუფმა მთელი ტელეგრაფის ხელში ჩაგდება მოიწადინეს, მაგრამ ისინი დატუსაღებულ იქმნენ.

### ირაკლი წერეთელი.

მინისტრი წერეთელი დღე და ღამ დაუსვენებლად მუშაობს. იგი მონაწილეობას იღებს ყველა თათბირში. ხშირად ხალხის მოთხოვნილებით სხდომებიდან გამოდის და ხალხს სიტყვებით მიმართავს და მოუწოდებს დამშვიდებისაკენ რევოლუციისა და რუსეთის დაღუპვისაგან დახსნის სახელით. ხალხი და ჯარი განსაკუთრებული ყურადღებით უსმენს მას.

### მთავარ შტაბს ესვრიან.

მთავარ შტაბის შენობას ყუმბარა ესროლეს. თოფის სროლაც სწარმოებდა რაოდენიმე ხანს. დაჭრილია მხოლოდ რამდენიმე კაცი.

### დაწყნარება იწყება.

უკანასკნელ ხანს პეტროგრადი თანდათან მშვიდდება. უკანასკნელ ცნობებით ჯარის მრავალი ნაწილი დროებით მთავრობას მიემხრო.

### საბჭოების მოწოდება პეტროგრადის ჯარებისადმი.

**პეტროგრადი.** მკათათის 4. მკათათვის 3-ს მოხდა სწრაფი სხდომა მ. და ჯ-თა საბჭოების ცენტრალი კომიტეტისა. სხდომა დაესწრნენ რუსეთის გლეხთა კომიტეტების წარმომადგენლებიც. იმსჯელეს მოხკოვის 1-ლი ტყვიისმფრქვეველი პოლკის მოქმედების შესახებ, რომელმაც მთელ რუსეთში დეპეშები დაჰგზავნა, სადაც შემდეგი ლოზუნგები იყო აღნიშნული: „ძირს დროებითი მთავრობა„ მთელი ძალა საბჭოებსო“ და სხვ. ყრილობამ შეიმუშავა მოწოდება პეტროგრადის ჯარებისადმი, სადაც აღნიშნული არის, რომ არც ერთ ჯარის ნაწილს ნება არა აქვს შეიარაღებული გარედ გამოვიდეს მთავარსარდლის დაუკითხავათ. საღამოს 5 საათზე ეს მოწოდება დეპეშით გადაეცა სამხედრო შტაბს.

### მოძრაობა ქარხნებში

გუშინ საღამოს გამოირკვა, რომ პეტროგრადის ქარხნებში მუშების მოძრაობა დაიწყო. აღმასრულებელმა კომიტეტმა საგანგებო დელეგატი გაჰგზავნა მუშებთან და მოძრაობის შეჩერება სთხოვა.

### ბოლშევიკები კონტრ.-რევოლიუციას ებრძვიან.

თავრიდის სასახლეში პეტროგრადის საბჭოს მუშათა სექციის სწრაფი სხდომა მოხდა პოლშევიკებმა კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლა მოითხოვეს, მათმა წარმომადგენელმა ზინოვიევმა განაცხადა, რომ კონტრ-რევოლიუციონერების მეთაური ამ ჟამად მილიუკოვი არისო. კადეტების სამინისტროდან გასვლა ეს მათი კლასობრივი ინტერესების შეგნებას მოასწავებსო. ზინოვიოვი მთავრობას ბრალს იმაში სდებს, რომ ისინი ბოლშევიკებს ებრძოდენ და კონტრ-რევოლიუციის მოახლოვება კი ვერ შენიშნესო.

### ბოლშევიკების მოთხოვნილებანი

ზინოვიოვის აზრით დათხოვილ უნდა იქნას სახელმწიფო სათათბირო. უნდა დააპატიმრონ რამდენიმე კონტრ-რევოლიუციონერი, კერენსკი უნდა გამოიცვალოს, მუშათა ეკონომიურ მოთხოვნილებას ანგარიში გაეწიოს, მოხდეს კონფისკაცია სტამბებისა, ქაღალდებისა და ბურჟუაზიულ გაზეთებისა. დათხოვილ იქმნან ჩინოვნიკები. ასეთნაირ მოთხოვნილებებს მრავალი ბოლშევიკი აცხადებდა.

### თავრიდის სასახლის აღებას ლამობდენ.

მოვიდა ცნობა, რომ თავრიდის სასახლის ასაღებად ტყვიისმფრქვეველი და გრენადერთა პოლკები მოდიანო. თავმჯდომარე კრებას დაშლას მოუწოდებს, ბოლშევიკები თანხმობას აცხადებენ და ხელახლად თხოულობენ, რომ ძალა საბჭოების ხელში გადავიდეს.

### 25 წევრიანი კომისია.

ტროიცკი სასურველად სცნობს 25 წევრიან კომისიის შეუწყვეტლივ იმუშავებს და რევოლიუციონერი ხალხის ნებას აასრულებს. მენშევიკები, ს.-რევოლიუციონერები და ინტერნაციონალისტები აცხადებენ, რომ ისინი კენჭს არ უყრიან ფრაქციის მიერ წამოყენებულ რეზოლიუციას. ამის შემდეგ ამათ დარბაზი დასტოვეს. დარჩენილმა ბოლშევიკებმა კი ერთხმად მიიღეს რეზოლუცია; არჩეულ იქმნას 25 წევრიანი კომისია. ამის შემდეგ 4 მკათათვის სხდომა შესწყდა.

### პეტროგრადი. მკათათვის 4.

მკათათვის 4-ს პეტროგრადის ქუჩაზე დიდი აღელვება იყო. იქა აქ ტყვიისმრქვევლების და თოფის სროლა ისმოდა. სისხლი უმთავრესად ნევის პროსპექტის და მის ახლო-მახლო მდებარე ქუჩებზე დაიღვარა. ამ ადგილებში მრავალი მოჰკლეს და დასჭრეს. მანიფესტანტები ამტკიცებენ, რომ მათ ფანჯარებიდან ესროდნენ და რომ ისინიც იძულებული იყვნენ სროლაზე სროლითვე ეპასუხათ. დღით კრონშტადტის მეზღვაურებმა ნევის და ლიტეინის მხარეებში ჩხრეკა-დაპატიმრება მოახდინეს. საღამოს 7 საათზე ყველაფერი დაწყნარდა. ირწმუნებიან რომ კრონშტადტელები კრონშტადტში დაბრუნდენო,

### გარნიზონის უფროსის განცხადება.

პეტროგრადის გარნიზონის უფროსმა თავრიდის სასახლეში ცნობა გამოჰგზავნა, რომ პეტროგრადის ჯარების კომიტეტის შეერთებულმა სხდომამ დაადგინა მხარი დაუჭიროს სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტსაო.

### ჯარების შეიარაღებული დემონსტრაცია.

მინისტრთა თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა გუბერნიის კომისარებს: მკათათვის 4 —დილას პეტროგრადში შემოვიდენ მეზღვაურები და ჯარის კაცები კრონშტადტიდან ორანიენბაუმიდან ტყვიის მფრქვეველი 1-ლი პოლკი და პეტერგოფიდან მე-9 სათანადო პოლკი, დღის 12 საათზე ამ პოლკებს შეუერთდენ მე-176-ე სათანადო და გრენადერთა პოლკები და ეს შეერთებული ჯარი თავრიდის სასახლისკენ წამოვიდა, აქ საბჭოების ალმას. კომიტეტის სხდომა იყო. დემონსტრატების პლაკატებზე შემდეგი ლოზუნგები ეწერა: „ძირს დროებითი მთავრობა“, „ძირს ათი მინისტრი კაპიტალისტი“, „მთელი ძალა საბჭოებსაო“ და სხვა. გზაზე მათ უერთდებოდენ შეიარაღებული მუშები მთელ ქალაქში ტყვიისმფრქვეველებით შეიარაღებულ ავტომობილებით დაიარებოდნენ და ყველას შიშის ზარს სცემდენ. დღის განმავლობაში ქალაქში მრავალი მოჰკლეს და დასჭრეს. საღამოს 10 საათზე შეიარაღებული მანიფესტანტები თავრიდის სასახლეს მუახლოვდნენ.

### წერეთლის დაპატიმრებას სცდილობდნენ.

შეიარაღებულმა ბრბომ მინისტრ წერეთლის დაპატიმრება მოიწადინა ამის შემდეგ დაპატიმრებულ იქმნა მინისტრი ჩერნოვი, მაგრამ ტროიცკის სიტყვის შემდეგ გაანთავისუფლეს.

### თავრიდის სასახლის ალყა.

ამ დროს თავრიდის სასახლეს ალყა შემორტყმული აღმოჩნდა შეიარაღებულ მანიფესტანტების მიერ. ბევრი თავრიდის სასახლეშიაც შეიჭრა.

### დროებითი მთავრობა მთავარ შტაბში იმალება.

მთელი დღის განმავლობაში მინისტრთა თავმჯდომარე და დროებითი მთავრობის სხვა წევრები მთავარსარდლის შტაბში იმალებოდნენ და თან შესაფერ ზომების მიღების გეგმას ადგენდენ.

### დროებითი მთავრობის ზომები

დროებითმა მთავრობამ პავლოვსკში ცხენოსანთა გვარდიას 1, 2, 41 დონის ყაზახების, იზმაილოვის და სემენოვის პოლკებს შველა სთხოვა.

### ჯარის მოსვლა.

დაბრუნებულნი საჩქაროდ მოვიდნენ დანიშნულ ადგილას და მოქმედებას შეუდგნენ. მაგრამ ამ დროს ცნობა მოვიდა, რომ მუშათა და ჯარისკაცთა აღმ. კომიტეტის მდგომარეობა მეტისმეტად საშიშიაო, ვინაიდან მისი სადგომი თავრიდის სასახლეში გარშემორტყმული იყო. აჯანყებულის მიერ. ამიტომ მოსულ ჯარების ნაწილი აღმ. კომიტეტის დასახსნელად გაიგზავნა.

### ბრძოლა ყაზახებთან.

,,ტროიცკის'' ციხიდან სადაც არტილერია იყო მოწყობილი, ყაზახებს ტყვიის მფრქვევლების და თოფების სროლა აუტეხეს. ყაზახთა შორის ამის გამო დიდი დანაკლისია. ამის შემდეგ ყაზახებმა არტილერიის სროლით გაიკაფეს გზა თავრიდის სასახლისაკენ და ბრბო გაჰფანტეს. აგრეთვე დიდი სროლა იყო ლიტეინის და ერტელემის უბნებში.

### ბრბო კონტრ-მზვერავთა ბიუროს ხელში ჩაგდებას ლამობდა.

ჯარის მოსვლამდე შეიარაღებული ბრბო კონტრ-მზვერავთა ბიუროს ხელში ჩაგდებას ლამობდა, მაგრამ სწრაფი ზომების წყალობით ეს მათ ვერ მოახერხეს.

### აჯანყების ჩაქრობა.

შუა ღამისას უკვე აჯანყება ჩაქრობილი იყო სადაც კი ნახავდნენ შეიარაღებულ ავტომობილებს, დაუყოვნებლივ ართმევდნენ იარაღს. წინააღმდეგობა მალე იმქმნა ჩაქრობილი. აჯანყების გამეორების წინააღმდეგ სათანადო ზომებია მიღებული.

### ჩხრეკა-დაპატიმრება.

ამ ჟამად ჩხრეკა-დაპატიმრება ხდება. დღეს დილით მდინარე ნევაზე ხიდები აჰყარეს. ქუჩებზე შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა.

## რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

### დ ე პ ე შ ე ბ ი.

**პეტროგრადი.** ივლისის 1. გაიხსნა მიწის საკითხის კომიტეტის მე-2 სესია. კრების გახსნისას თამჯდომარეთ პროფეს. პოსტნიკოვმა აღნიშნა, რომ მიწის საკითხის კერძოობით გადაწყვეტას დიდი ზიანი მოსდევსთანაო. მან სთქვა ეხლა ლაპარაკის დრო კი არ არის არამედ საქმისაო. დამფუძნებლ კრების მოწვევამდე სამი თვე და დარჩა და თუ იმ დროსთვის რეფორმის პროექტი არ დამზადდა, დამფუძნებელი კრება მიტინგათ გადაიქცევა, რაც დიდ საფრთხეს წარმოადგენსო. (მიწად მოქმედების?) მინისტრი იზიარებს ამ აზრს, მიწის საკითხის კერძობრივ გადაწყვეტის შეუძლებლობაზ შესახებ მაგრამ აღნიშნავს, რომ თუმცა ასეთ გადაწყვეტილებებს ადგილი აქვს, მაგრამ საერთოდ რუსეთის გლეხობა წყნარადაა და დიდ სახელმწიფოებრივ ტაქტს იჩენს.

### პეტროგრადის სამხედ. ოლქის უფროსის ბრძანება.

**პეტროგრადი.** ივლისის 4. პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსისაგან. ვასრულებ რა დროებით მთავრობის ბრძანებას, რათა პეტროგრადი გავსწმინდო შეიარაღებულ ხალხისაგან, რომელიც არღვევს წესრიგს და საფრთხეს წარმოადგენს მოქალაქეთა პიროვნებისა და ქონებისათვის,-ვაძლევ წინადადებას სატახტო ქალაქის მცხოვრებთ, უმიზეზოდ ნუ გამოვლენ ქუჩაში, დაკეტილი იქონიონ ალაყაფის კარები და ზომები მიიღონ უცნობ პირთა მათ სახლში შეჭრის წინააღმდეგ. სამხედრო ნაწილებს წინადადებას ვაძლევ დღესვე შეუდგნენ ქუჩებში წესიერების აღდგენას. გენერალ —მაიორი პოლოვცევი.

### შეიარაღ. დემონსტრაციის აღკრძალვა.

**პეტროგრადი.** ივლისის 4. დროებით მთავრობისაგან. რადგანაც ივლისის 3—4 ღამე სამხედრო ნაწილების გამოსვლის შედეგი დაჭრილები იყვნენ, ამიტომ აღკრძალულია ყოველივე შეიარაღებულ დემონსტრაციები.

### ჯარისკაცებს ფულს ნუ აჩუქებთ!.

**პერმი.** ივნისის 22. (დაგვიანებულია). ყაზანის სამხ. ოლქის ჯარების უფროსმა გამოსცა ბრძანება, რომელითაც ის მცხოვრებთ უკრძალავს ჯარის კაცებისთვის ფულის ჩუქებას, რადგანაც ასეთი ჩუქების ცარიცინში სამწუხარო შედეგი მოჰყვა.

## უ ც ხ ო ე თ ი.

პ. დ. ს.

### დეპეშები.

პეკინი. ივლისის 3. დილის 4 საათზე რესპუბლიკანელთა ჯარმა აიღო „ცის ტაძარი,“ სადაც ჩიჟანსუნიას ჯარი იყო დაბანაკებული ტყვიის მფრქვეველთა, ზარბაზნების და თოფის სროლა შესწყდა. გენერალმა ჩიჟანსუნიამ პოლანდიის სულჩას შეაფარა თავი. მის სახლს ცეცხლი მოუკიდეს. მშვიდობიან მცხოვრებთაგან რამდენიმე მსხვერპლია. ჩინეთის მთავრობისა და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების შორის მოლაპარაკებაა გამართული იმის შესახებ, თუ რა პირობებში მოხდება ჩჟანსუნის ჯარის მიერ იარაღის დაყრა.

სტოკჰოლმი. ივნისის 30. „ნაციონალ ცაიტუნგის“ ცნობით გერმანეთის რაიხსტაგის უმრავლესობის მანიფესტი მზადაა. მასში ნათქვამია: 1914 წლის აგვისტოს 4რაიხსტაგი იმ აზრისა იყო, რომ გერმანეთმა მხოლოდ თავისუფლების, დამოუკიდებლობის და თავისა მიწაწყლის გადასარჩენად მიმართა იარაღს. დღეს ომის მეოთხე წლის მოლოდინში რაიხსტაგის უმრავლესობა იმავე მიზანს ესწრაფვის. გერმანლები განაგრძნობენ ბრძოლას, ვიდრე მოწინააღმდეგენი ხელს არ აიღებენ ოცნებას ჩვენს დამარცხებაზე.

## მსოფლიო ომი

პ. დ. ს.

### დ ე პ ე შ ე ბ ი

#### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ივლისის 5. გალიჩისა და ბრზეჟანის სამხრეთით, სოფ. პოტუტორის მიდამოებში მოწინააღმდეგემ ზარბაზნების სროლა გააძლიერა კალუშის სამხრეთით, სოფ. ნოვიცას სამხრ. მოწინააღმდეგის ჯარმა ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ იერიში მოიტანა და აიღო ერთი მაღლობი, ჩვენი ჯარი ნელ-ნელა მდ. ბერეჟნიცას ხაზს აქეთ გადმოვიდა. ერთი საათის შემდეგ მტერმა სოფ. ნოვიცის მხრიდან ისევ შემოგვიტია, მაგრამ ჩვენმა ჯარმა მამაცურ კონტრიერიშით მტერი უკუ აქცია და ზემოდ ნახსენები მაღლობი დაიბრუნა. რუმინეთისა და კავკასიის ასპარეზებზე არსებითი არა მომხდარა რა.

#### დასავლეთის ასპარეზი.

**ლონდონი.** ივლისის 4. ღამე კარნეტონის სამხ. აღმ. რამოდენიმე წინ წავიწიეთ. ნიუპორტის სექტორში ერთი რაზმი მტერზე თავდასხმის დროს ძლიერ რაზმს შეეჩეხა, ცხოველი ბრძოლის შემდეგ სანგრებიდან განდევნა მათ ახალ პოზიციებს [illegible]

#### [illegible] ასპარეზი.

**სოლუნი.** ივლისის 3. უკანასკნელ 2 დღეში [illegible] არა მომხდარა რა. დღეს ინგლისელმა მფრინავმა მტრის აპარატი ჩამოაგდო. ოხრიდის ტბის სამხრეთით სადაზვერო რაზმებს შეტაკება უხდებათ.

**სოლუნი.** ივლისის 4. საყურადღებო არაფერია გარდა არტილერიის უმნიშვნელო მოქმედებისა, ინგლისელი მფრინავები მტრის ბანაკს მარჯვედ უშენდნენ ყუმბარებს.

## ახალი ამბავი.

✦ სამოსწავლო საქმე. ქუთაისის გუბერნიის სამოსწავლო საქმეთა კომისარებმა ბ-მა ი. ოცხელმა, ს. ხუნდაძემ და ს. რობაქიძემ ქუთაისის გუბერნიის და ბათომის ოლქის სახალხო სკოლების დირექციის დროებით გამგეთ დანიშნეს ქუთაისის მეორე უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის ინსპექტორი ბ-ნი არაჩემია.

✦ საინტენდანტო საქმეები. საინტენდანტო დაწესებულებათა საქმეების გამოძიება ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მიანდო კომისარ ი. ქარცივაძეს.

✦ დანიშვნა. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის კანცელარიის ვიცედირექტორად დაინიშნა თ-დი იაკობ აფაქიძე.

— დაჭრა. ივლისის 6 ვორონცოვის ქუჩაზე მთვრალმა მილიციელმა რევოლვერით ფეხში დასჭრა გადაცმული ჯარისკაცი. მილიციელი დაატუსაღეს.

სიქონლის საკვების კრიზისი. კავკასიის მეეტლეთა თხოვნით კავკასიის სასურსათო საქმეთა რწმუნებული რუსეთის სასურსათო საქმეთა რწმუნებული რუსეთის სასურსათო საქმეთა რწმუნებულს აცნობებს, რომ კავკასიაში იონჯის დიდი კრიზისია, რის გამოც ცხენების გამოკვება შეუძლებელი ხდება რწმუნებული თხოულობს. რომ კავკასიას დაეთმოს რამდენიმე ვაგონი ხმელი იონჯა.

— საღამო. დღეს ზეინკალთა და მექანიკოსთა პროფესიული კავშირის სასარგებლოთ გაიმართება საღამო სადრო კავსაძის მონაწილეობით.

ყულაბებით ფულის შეგროვება. გუშინ ქალთა პროფესიულ სკოლის სასარგებლოთ ქუთაისში გაიმართა ყულაბებით ფულის შეგროვება.

— ჩხრეკა. გუშინწინ წყლის გაღმა უბანში დაარბიეს ფედერალისტების პარტიულ ბიუროს ბინა,

✦ 37, 000 მან. გადადება ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი იტყობინება, რომ ქუთაისის სამილიციო რაზმის შესანახათ გადადებულია 37 ათასი მანეთი.

✦ განკარგულება. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი ცირკულიარით იუწყება, რომ სოფლის აღმ. კომიტეტებში და მილიციებში აკძალულია ძველ პოლიციაში ნამსახურ პირთა მიღება.

✦ პასპორტების შესახებ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი იტყობინება, რომ იმ პირებმა, რომლებიც საზღვარ-გარეთ წასასვლელ პასპორტებს თხოულობენ ან უცხოეთში მყოფნი იქ საცხოვრებელ ვადის გაგრძელებას მოითხოვენ, უნდა იხელმძღვანელონ 1915 წ. 14 ივლისის კანონი.

✦ შეკითხვა. თბილისის სამოსამართლო პალატა ეკითხება ქუთ. აღმ. კომიტეტს, თუ ვისიგანკარგულებით იქმნა განთავისუფლებული ქუთაისის ციხიდან უმართებლეს სენატის მიერ დატუსაღებული ვარმაველი პაკელანი.

✦ დანიშვნა. ქუთაისის კომენდანტის ადიუტანტის თანაშემწეთ დაინიშნა პრაპ. შავიანიძე.

✦ ორუჯ-ბაირამობა. ივლისის 10 მაჰმადიანთა დღესასწაული „ორუჯ ბაირამობა“ იმართება, ამის გამო ქუთ. გარნიზონის ყველა მაჰმადიანი ჯარის კაცები განთავისუფლებულ იქნებიან სამსახურისაგან

✦ გადასახლების შესახებ. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი ქუთ. აღმ. კომიტეტს ატყობინებს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით სოფ-

ლებში შეჩერებულია ხალხისადმი ხარჯის შეწერა. რადგან რუსეთის შიდაგუბერნიებში ზოგიერთი ადმ. კომიტეტები უსამართლოთ მოიქცენ და ხალხს უმართებულოთ გადასახადი შეაწერეს, ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებული ა. ჩხენკელი აცხადებს, ერობის შემოღებამდე არავის არშეუძლია. მოკლე ხ ნში შემოღებულ იქნება საერობო დაწესებულებანი ადგილობრივ პირობების საფუძვლებზე. მანამდის კი სოფლის მცხოვრებნი თავისნებით იხდიან მცირე გადასახადს სოფლის საზოგადოების ადმ. კომიტეტების პირდაპირიხარჯების დასაფარავათ.

◆ დაკარგული დოკუმენტები. გიორგი ბახტაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ივლისის 6-ს ხონიდან ქუთაისამდე მგზავრობის დროს მან დაჰკარგა სამხედრო მთავრობისაგან მიცემული დასვენების (ოტპუსკის) ბარათი და აგრეთვე მოწმობა როტის კომიტეტის თავმჯდომარის ამ ხანაგისა. მპოვნელს სთხოვს გადასცეს ,,ჩვენი ქვეყნი''-ს რედაქციაში.

— საგუბ. ადმ. კომიტეტის არჩევნები. ხვალ მოხდება საგუბერნიო ადმასრ. კომიტეტის არჩევნები.

— საზიზღარი ამბავი. სოფ. გვერკში იპ. კალანდაძემ გააუპატიურა თავის და. კალანდაძე შეიპყრეს.

— ქალის გატაცება. სენაკში გაიტაცეს ბაბილინა ახალაია.

## პროვინცია.

— დ. ბაღდათი. კვირას, ივლისის 2-ს აქ გაიმართა დიდი სახალხო სეირნობა ქალთა წრის და სახალხო სახლის ასაგებ თანხის გასაძლიერებლათ. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო და კარგათ ჩაიარა. შემოსავალი თვალსაჩინოა.

◆ სოფ შუხუთი. (გურია). აქ შემოიღეს 8 საათის სამუშაო დღე.

◆ სოფ. დონთრისი. (ლეჩ. მაზრა.) ადგილობრივ მცხოვრებს ევტიხი ახვლედიანის საჯარო ვაჭრობიდან დარჩა ჭაშლეთის მცხოვრებლების ქურციკიძეების მამული. ახლა ქურციკიძეები რევოლუციურ გზით მამულის უფასოთ წაართმევას აპირებდენ და ამ მადლით მათ ახვლედიანის მამულში ღამით სახლი ჩასდგეს.

◆ მექვენა. აქაურ სადგურის მწერალს მოპარეს ცხენები. გამოძიება სწარმოებს.

## თბილისი

◆ პეტროგრადში მომხდარ ამბების შესახებ, 5 მკათათვეს შეერთებულ კრება ჰქონდათ: ამიერ-კავკასიის მუშათა და ჯარის კაცთა და დეპუტატების და აგრეთვე ყველა რევოლიუციონური პარტიების წარმომადგენლებს. კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: რათა არ დაიქსასოს რევოლუციის ძალები, კრება აუცილებელ საჭიროთ სცნობს თბილისში არ მოხდეს ცენტრალურ რევოლუციონურ ორგანიზაციების დაუკითხავად კერძო გამოსვლები. როგორც დარაზმული, ისე დაურაზმავი, და ამ მიზნისთვის მოუწოდებს ყველას მშვიდობიანობისკენ. კრებაზე არჩეული იქმნა ამ მიზნისთვის ბიურო.

◆ პეტროგრადში მომხდარ ამბების შესახებ დღეს, მკათათვის 7-ს სახალხო სახლში საღამოს 7 საათზე მოხდება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს კრება.

◆ ქალაქის სასურსათო კომიტეტმა გადასწყვიტა ამ ახლო ხანში თბილისში შემოღებულ იქნას პურის ყიდვა ბარათების წესით.

◆ პეტროგრადის ამბების გამოძახილი. ,,კავკ. რაბოჩ''-მა გუშინ შემდეგი მოწოდება გამოუშვა: ,,ამხანაგებო მუშებო და ჯარის კაცნო! პეტროგრადში დიდი ამბავი ხდება! მთავრობა მ. და ჯ—კ. დეპუტატთა საბჭოების ხელში გადადის. პეტროგრადის რევოლუციონერი პროლეტარიატის და მისი რევოლუციური ლაშქარი იცავენ მ. და ჯ—კ. დეპუტატების ცენტრალ კომიტეტს. ახლა რუსეთის რევოლუციის დღესასწაულის ბრწყინვალე წამია! გაუმარჯოს მ. და ჯ კ. დეპ. საბჭოს მთავრობას. გაუმარჯოს რევოლუციონურ ლაშქარს და პროლეტარიატს მკათათვის 6-ს, საღამოს 7 საათზე მოხდება მე-3-ე რაიონის სასწრაფო სხდომა რ. ს.-დ. მ. პარტიისა (მეუმრავლესეთა) ავლაბარ-ნავთლუღ-ორთაჭალაში დაბინავებულ ჯარის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ყრილობა შესდგება ავლაბრის კლუბში. ამხანაგებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

◆ კომისართა ჯამაგირები. იმ კომისრებს, რომლებიც ამიერ- კავკასიის საგანგებო კომიტეტის მიერ არიან დანიშნულები სახელმწიფოს სხვადასხვა დაწესებულებებში ჯამაგირად თვეში 450 მან. დაენიშნოთ. ეს ჯამაგირი მიეცემათ თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან.

◆ ამიერ-კავკასიის ბანკი ივლისის 2 გაიხსნა. ბანკი მოთავსებულია ლორის-მელიქოვის ქუჩაზე სათავადაზნაურო ბანკის ახალ შენობაში მეორე სართულზე. მოქმედება დაიწყო ბანკმა 3 ივლისიდან. ძირითადი თანხა 3 მილიონი მან. აქვს. გამგეობის თავმჯდომარეა ი. მ. ლორთქიფანიძე, წევრნი რ. ყ. დათეშიძე, დ. ვ. ქუთათელაძე. საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. ხოშტარია, მისი მოადგილე პ. ვ. კიზირია.

◆ საქართველოს საკითხი. ფრანგულ გაზეთ „ლატრანშეეში“ მაისის 31-ს №-ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი ნიკოლოზ ჯანაშიასი საქართველოს შესახებ.

## დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისია კავკასიაში.

ამ კომისიას ევალება:

1) აცნობოს მის უწყებაში მყოფ ორგანიზაციებს ის საშუალებანი, რომელთა შემწეობითაც საარჩევნო ოლქების საარჩევნო რაიონებად დაყოფა შეიძლება.

2) უჩვენოს საარჩევნო სიების შედგენის წესები.

3) შეადგინოს აღწერისათვის საჭირო ბლანკები და ყველა ადგილობრივ ორგანოებს დაურიგოს.

4) გამოარკვიოს აღწერის მიხედვით რიცხვი ამა თუ იმ საარჩევნო ოლქის დეპუტატებისა.

5) აღმოუჩინოს დახმარება საარჩევნო საქმეებისათვის ფულით.

6) საერთოდ თვალ-ყური ადევნოს არჩევნებს.

კომისიას უფლება ეძლევა ადგილობრივ კომიტეტების მიზან შეუწონელი და უკანონო გადაწყვეტილებები შესცვალოს.

კომისიამ დაადგინა სთხოვოს ამიერ-კავკასიის კომიტეტს დამფუძნებელი კრების არჩევნების წესის გამოქვეყნება, სა, დაც აღნიშნული იქნება, რომ ხუთსავ საარჩევნო ოლქებში დაცულ უნდა იქნეს არჩევნების პროპორციალი წესი. არეთვე დაადგინა შეეკითხოს დროებით მთავრობას—დეპუტატთა რიცხვი ამიერ კავკასიიდან განსაზღვრული იქნება თუ მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით იქნება განმარტებული. ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნება საყოველთაო აღწერა საარჩევნო ოლქები თავის მხრივ საარჩევნო რაიონებად დაიყოფა.

ასეთ რაიონის საფუძვლად დადგენილია მიღებულ იქმნას სოფელი არა უმეტეს 2000 ამომრჩევლისა, ხოლო ორ სოფლის შეერთება უნდა მოხდეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტების მიერ იმ პირობით, თუ სოფლები ბევრით არ არიან დაშორებულნი ერთმანეთთან. ამომრჩევლობითი სიები უნდა შედგენილ იქმნას რუსულად და თუ შესაძლებელი იქნება ადგილობრივ ენაზედაც. წინასწარ ხარჯებისთვის დადგენილია ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს ჯერ-ჯერობით 5000 მანეთი ეთხოვს.

## სიცრუე.

ამ სათაურით გაზეთ ,,პეტროგრადის უწყებებში''. (№ 92) მოთავსებულია ალ. მანავსკის შემდეგი შენიშვნა:

,,ბირჟ. ვედომ.-''ში (საღამოს გამ.) დაბეჭდილია:

,,საქართველოს ფრიად თვალსაჩინო წრეები ერისკაცთა და ნაწილი სამღვდელოებისა საქართველოს და ეკლესიის გადაჭარბებულად განკერძოებას საზიანოდ სთვლის ყოვლის უპირველესად თვით ამ ეკლესიისათვის. ამ, ფრიად მრავალრიცხოვან, ჯგუფების აზრი ავტოკეფალიის შესახებ უფრო ზომიერია. ისინი მოითხოვენ ერთობას სრულიად რუსეთის მართლმადიდებელ მპყრობელ ეკლესიასთან, რომელიც ყოველთვის შესძლებს საქართველოს სამღვდელოებისა და მრევლს შეძლებისდაგვარი დახმარება და შემწეობა აღმოუჩინოს.''

გაზეთის ეს ცნობა სიმართლეს სრულებით მოკლებულია. არც დიდი და არც მცირედი წრეები ერისკაცთა თუ სამღვდელოთა შორის, რომელთაც სრული ავტოკეფალობა საზიანოდ (?!) მიაჩნდეთ თვით ივერიის ეკლესიისათვის, საქართველოში არ მოიპოება.

მთელი საქართველო შეკავშირდა და სავსებით მიიღო მცხეთის 12 მარტის აქტი ავტოკეფალობის აღდგენის შესახებ. საკმაოა გადაათვალიეროთ ქართული გაზეთები და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რეზოლუციები, რომ ამაში დარწმუნდეთ.

ყოფილი ეგზარხოსი პლატონი, ორპირი კომისარი ბენეშევიჩი და რუსიფიკატორები დეკ. ვოსტორგოვის ბანაკიდან, ,,განკერძოებას'' საზიანოდ სთვლიან, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ივერიის ეკლესიისათვის, არამედ თავის საკუთარ პოლიტიკურ განზრახვათათვის. ქართველები ,,რუსეთის ეკლესიასთან ერთობას'' არ გაურბიან, მხოლოდ პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ ავტოკეფალური ივერიის ეკლესია ,,დაექვემდებაროს'' რომელსამე სხვა სწორუფლებიან ეკლესიას და მით უმეტეს ეკლესიას რუსეთისას, რომელსაც დღემდე ვერ აღუდგენია თავისი კანონიური წყობილება. რაც შეეხება ,,დახმარებასა და შემწეობას ქართველები დროებითი მთავრობისა და მისი წევრის ვ. ნ. ლვოვისაგან მოელიან და არა უკანონო და არა კანონიურ სინოდისაგან, რომელიც თვითნებურად ხელმძღვანელობას უწევენ რუსეთის ეკლესიის საქმეებს.

## ეროვნული კითხვა

უკრაინელთა ერთგულება.

მიუხედავად უკრაინის ავტონომიურად გამოყოფისა, როგორცა სჩანს უკრაინული პოლკები ერთგულად იბრძვიან სხვა რუსებთან ერთად. ბრძოლის ველზე მყოფ უკრაინულ ჰუსართა მე-18 პოლკს სამხედრო მინისტრისთვის უთხოვია მთელი პოლკი ,,სიკვდილის ბატალიონების'' სიაში შეიტანოს.

პრუსიის იუნკრები და დამოუკიდებელი პოლონეთი.

პრუსიის უკიდურესი მემარჯვენეთა ,,გაკატისტების'' ორგანო ,,ოსტმარკი'' სწერს: ვარშავის უნივარსიტეტისა და პოლონეთის ჯარში ჩამწერ ბიუროს დახურვას მოჰყვება საშიშარ ,,დამოუკიდებელ პოლონეთის'' ქადაგების შეწყვეტა.

## მიწის კითხვა.

გასულ კვირას ქ. მოსკოვში მოხდა მიწის მესაკუთრეთა ყრილობა.

ყრილობამ მეტად მშფოთვარე და აღელვებული სახე მიიღო. მომხსენებლები აღწერდენ იმ უმწეო და კრიტიკულ მდგომარეობას, რომელშიც მემამულენი ჩავარდენ მომხდარ პოლიტიკურ ცვლილების შემდეგ, გლეხები იყოფენ მათ მამულებს, სჩეხენ ტყეებსა და ბაღებს. სახელმწიფო სათათბიროს მდივანმა დიმიტრიკოვმა განაცხადა, რომ მოკლე ხანში პეტროგრადში მოხდება დრ. მთავრობის ბჭობა, სადაც მიწადმოქმედების სამინისტრო მიწის რეფორმისთვის დროებითი წესრიგის პროექტს წარადგენს.

ყრილობამ გადასწყვიტა პეტროგრადში განსაკუთრებული კომისია გაგზავნოს.

ზოგიერთი ორატორი მოითხოვდა, რომ პეტროგრადს წარგზავნილ დელეგაციას დრ. მმართველობისთვის დაბეჯითებით განეცხადებია, რომ მას (დრ. მთავრობას) დამფუძნებელ ყრილობამდე არავითარი უფლება არ აქვს მიწის კითხვის შესახებ რაიმე სავალდებულო კანონი გამოსცეს, ერთმა მემამულემ სთქვა. ,,მთავრობა ემყარება გაწვრთნილ ბრბოს (შაიკას) რომელიც ჩვენ მოგვესია და გვაწიოკებს, მთავრობამ ამ ბრბოსთან კავშირი უნდა შესწყვიტოს, დროებითი მთავრობას თავის ძალით შეუძლია ჩვენ მიწები წაგვართვას, მაგრამ წართმევა მოხდება მხოლოთ მაშინ, როდესაც ჩვენ ყველანი დავიხოცებით და ,,გამარჯვებული'' მთავრობა ჩვენს გვამებს ფეხს დაადგამს.

ამის შემდგომ მოხსენება წაიკითხა ცნობილმა გურკომ, რომელიც ამტკიცებდა, რომ მიწის სოციალიზაცია მავნებელი და მაზარალებელია უწინარეს ყოვლისა გლეხებისთვის იქნება და არა მემამულეთათვის, რადგან ყოველ ას დესიატინა მამულზე სამოცი დესიატინა გლეხებს ეკუთვნის. ყველა მამულები რომ დაურიგდეს გლეხებს, მაშინ თითოეული მათგანი მიიღებს დესეტინა მიწის ექვს მეათედს. ყრილობამ თ ღ ლეგის შემდეგი შინაარსის დეპეში გაუგზავნა:

,,მემამულეთა ყრილობა დიდ უსამართლობათ სთვლის, რომ მთავარ სამამულო კომიტეტში დრ. მმართველობამ მიწის მესაკუთრეთა წარმომადგენლები არ მიიღო.

## უკრაინის გენერალ-სეკრეტარიატის დეკლარაცია.

(დასასრული, იხ. ჩვ. ქვ. № 72)

მიწის კანონის პროექტი.

დამფუძნებელ კრებისათვის სეკრეტარიატმა გლეხთა ყრილობის დადგენილებათა მიხედვით მიწის კანონის პროექტი უნდა შეიმუშავოს. ამასთან სეკრეტარიატს ევალება ნათლად გადაჭრა კანონის იმ ნაწილის, რომელმაც მიწის საქმეებში სრულიად რუსეთის პარლამენტის და უკრაინის სეიმის კომპეტენცია უნდა განსაზღვროს.

სასურსათო საქმე.

სეკრეტარიატი ამ საქმეში მუშაობის გეგმით წარმოებას და გაერთიანებას ისახავს.

სეკრეტარიატს ძირითად მიზნად სრულიად უკრაინის ცენტრალ სასურსათო კომიტეტის დაარსება მიაჩნია.

ცენტრალი სასურსთო კომიტეტი ავტონომიურ უკრაინას სასურსათო საქმეებში უზრუნველ ჰყოს.

უკრაინელთა ჯარი.

სეკრეტარიატი მიზნად, როგორც ზურგში მყოფ ისე ფრონტის ჯარისკაცების უკრაინიზაციას ისახავს. იგივე უკრაინის სამხედრო ოლქებში და ორგანოებში, ჯარის საჭიროებათა მიხედვით, ცვლილებების შეტანაზე იზრუნებს.

უმაღლეს მდივნის დანიშნულება.

უმაღლეს სეკრეტარიატის საქმის წარმოება კანცელარიის დაარსებას საჭიროებს. ამიტომ სეკრეტარიატის შემადგენლობაში უმაღლესი მდივანიც შევიდა. მას მთელ უმაღლეს სეკრეტარიატის საქმის წარმოება ევალება. ადგილობრივ საორგანიზაციო საქმეებში იგი კერძო უმაღლეს მდივნებთან კავშირს იქონიებს. იგი პერიოდულ ორგანოთი უმაღლეს სეკრეტარიატის მოქმედების ინფორმაციასაც შეუდგება.

უკრაინის თავისუფლების დაცვა.

მთელ ჩვენ ძალღონეს—ნათქვამია დეკლარაციის დასასრულ, იქითკენ მივმართავთ, რომ უკრაინა დაღუპვის, დეზორგანიზაციის და ანარქიის გზაზე არ დავაყენოთ. ვინც უნდა შეეცადოს ჩვენში დეზორგანიზაციის შემოტანას:—კონტრრევოლუციონური ბნელი ძალები, უკრაინის ანარქისტული ელემენტები, დროებით მთავრობის შეცდომებით თუ მტრული განწყობილება,—ჩვენ უკანასკნელ ძალღონიდაც მედგრად შევებრძოლებით. არავის მოუწონებთ უკრაინის ახალ ცხოვრების საქმეების შეფერხებას და ხელს ნუ აპოტინებენ.

დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ ცენტრალ რადის წევრები ფეხზე ადგნენ და მხურვალედ მიესალმენ სეკრეტარიატს.

კენჭის ყრის დროს უმაღლეს სეკრეტარიატს ნდობა გამოუცხადა.

## გურია.

სიმშილის აჩრდილი თავისი საშინელებით წამოიჭიმა გურული გლეხის წინაშე. ამ შიშმა ისე დააფიქრა გურული გლეხი, ისე შეიპყრო მთელი მისი არსება, რომ ეს მუდამ მხიარული, ცოცხალი, მკვირცხლი ქმნილება სულ გადაიქმნა; მას ძალიან ძნელათ დააინტერესებს რამე ახალი, ყოველივე გამოძახილს ის ძალიან ყრუთ ხვდება კითხავ რამეს მის მდგომარეობაზე და ის ნაღვლიანათ გიპასუხებს: „ეჰ, რავა ვიქნები, შენ გენაცვალე!“—და მიგითითებს ჩაყვითლებულ ყანებზე.—„ამის შემხედვარე რაფერ უნდა იყო კარგათ“,—და მართლაც გული გიკვდება ადამიანს, როცა ხედავ მუშის ნაჯღაფ-ნაშრომს ასე გაოხრებულს.

ჯერ იყო და აპრილის რიცხვებში გვალვამ ყველაფერი დასწვა და ამის მიზეზით ყანების დახვნა მეტათ დაგვიანდა. ეხლაა და მთელი ივნისისთვე განუწყვეტლივ წვიმდა. ერთი-ორი დღე ისეთი არ ყოფილა, რომ მუშას ყანაში თოხი ეხმარა: [illegible] მთელ ყანებს სრულ ბალახი [illegible]

[illegible] ყველაფერი ხალხის ხელშია, გაუჩენელს გავაჩენთ; რამ შეგაშინაო?—ის იმედ დაკარგული გიპასუხებს: კარგი, თუ კაცი ხარ! ღმერთმა ნუ ქნას, თვარა იგი ჩხეიძე და კერენსკი მე აფერს მომიტანს. რევოლუცია, ეს ამბები, ყველაფერი კარგია, მარა ბაღანა რომ აგიჭყავლდება-შინ, ვერაფერი კაი ამბავი იქნება მაშინ“...

2 ივლისს ჯვარცხმის საზოგადოების მასიური კრება მოხდა, ხალხს უნდა გაენაწილებინა ჯამაგირი სოფლის კომისარისათვის და მწერლისთვის, რადგანაც ეს უკანასკნელნი არ დასთანხმდენ იმ ჯამაგირს, რომელიც კომიტეტმა დაუნიშნა, მაგრამ ხალხი აქ ამ ჯამაგირის განაწილებაში უფრო ხელ-მომჭირნე დარჩა, ვიდრე კომიტეტი. სოფლის მუშა, რომელიც თავის თავს დღიურათ 4—5 მანეთად აფასებს, კომისარის და მწერლისთვის 2 მანეთსაც კი არ იმეტებს; ის ყოველ დარგში სცდილობს, რაც შეიძლება გადასახადები შეამციროს. წარმოიდგინეთ, თვით სკოლის სახარჯო ანგარიშშიც კი მეტად დიდი მომჭირნეობა გასწიეს იმ გურულებმა, რომლებიც დღემდი სკოლისთვის არაფერს ზოგავდენ. მაგალითად, სკოლას სასწავლო ნივთების შესაძენი ფული ეხლა იმაზე უფრო ნაკლები გაუწერეს, რამდენიც ძველს, მთავრობის დროს ჰქონდა.

საზოგადოთ, როდესაც რაიმე გადასახადის გაწერაზე შეიქნება ლაპარაკი, გლეხები გაიძახიან: „დაგვანებეთ თავი, დაგვანებეთ.

არაფრის გადახდა ჩვენ არ შეგვიძლია, არც კომისარი.

არ მინდა არც კომისარი არ მწერალი.

ვის ვედავები ეხლა, ვის ვეჩხუბები? ან რა თხოვნები მჭირია მე ეხლა საწერათო?

ერთ სოფლის კრებაზე ამას წინათ რამოდენიმე სოფელმა ცალკ ცალკე საკუთრათ მოითხოვეს სკოლები. ამაზე მთელმა საზოგადოების ყრილობამ ერთი აურზაური ასტეხა; ბევრმა დემონსტრატიულათ დასტოვა კრება. —„რა დროს კლასია ეხლა? ჩვენი შვილები ღმერთმა იცის სადაა, ათასი უბედურება კარზე გვადგია და ეხლა კლასი მომთხოვეთ თქვენ აქა-ანე ასე გაიძახოდენ გლეხები.

საერთოდ გლეხი დღეს ძალიან დაფრთხალია...

ის ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს. თუ ეს გლეხი წინათ პროპაგანდისტს ან მასწავლებელს პირველ ხმის ამოღებისთანავე გვერდში უდგებოდა, დღეს იგივე გლეხი ამათ სულ სხვა თვალით უცქერის, ყველაფერს მათ ნათქვამს ეხლა ის ,,ათჯერ ზომავს და ერთხელ სჭრის'' და ამიტომაცაა სწორეთ, ჯერჯერობით რომ სხვადასხვა მიმართულება ძალიან ნელის ნაბიჯით იკიდებს ფეხს გურიაში...

გურიამ ყველაზე მეტი სიმწარე იგემა წარსულ რეაქციისაგან, ნასაკირალი, კრილოვი, ერმოლოვი და მათი კომპანია ჯერ კიდევ არ დავიწყებია.

გურულებმა შეიგნეს რა, თუ რადიდს სამსახურს უწევს კოოპერატივები ხალხს ამ საერთო კრიზისის დროს, მეტათ გულმოდგინეთ და ერთსულოვნათ მოკიდეს ხელი ამ საქმეს.

თითქმის ყოველ სოფელში არის კოოპერატიული დუქნები, ეხლა კოოპერატიული სახარაზოც და საფართლოც მიუმატეს. დიდის ხმა, თითქო ყველა სავაჭროს კერძო ვაჭრებისაგან ჩამორთმევას აპირებდენ, რათა კოოპერატივს გადასცენ. ასეც რომ არ იქნეს კერძო ვაჭრებს გურიაში, ამ კოოპერატივის ასეთი წინსვლით, ნიადაგი ეცლებათ; ამის ნიშნები უკვე სჩანს ალაგ-ალაგ. მაგალითად. ს. ცხემლის-ხიდზე, იყო რამოდენიმე სხვადასხვა სავაჭრო დუქნები, მაგრამ, გაიხსნა თუ არა აქ კოოპერატიული დუქანი, თავისით ყველა სხვა სავაჭროებმა აიკრეს ბარგი და ყველა მათი ნივთები გადასცეს ადგილობრივ კოოპერატივს.

სხვაფრივად არც შეიძლებოდა, რადგან რომ მიატოვოს ეს ადგილი და სხვა მო-

ნახოს სავაჭროთ,—კარგათ იცის, რომ იგივე ბედი მოელის, რადგანაც მთელი გურია კოოპერატივის ქსელით არის მოფენილი.

ამ ცოტა ხანში კოოპერატიული სასადილოების გახსნაც დაიწყეს, ამის გამო სამიკიტნოებსაც ბოლო მოეღება...

ტიტანიკ.

## საქართველოს ებრაელნო! დროა, თქვენც შეგეტყოთ რაიმე „მოძრაობა“!

წავიდა ძველი... მოვიდა ახალი... შეიცვალა დროები... შეიცვალა წესწყობილებანი... სდუღს ცხოვრება და მისი ტალღების ქრიამულით გამოიღვიძა დაძინებულებმა, გაახილა თვალები ბნელმა ერებმაც... რომლებიც დღემდე მხოლოთ „მონის“ სახელით დაიარებოდენ და ასეც სთვლიდენ თავიანთ თავს!

„ცივ-ყინულიან ციმბირსაც“ კი მიაწვდინა დღევანდელმა ცვლილებამ „თავისი სითბო“ და დაადნო „ციმბირელების გაყინული გული“, დაანახვა სინათლე, დაანახვა, რომ იგინი „ტიტველი“ ყოფილან, შერცხვათ და შეუდგენ „ეროვნულ ტანისამოსის“ შეკერას, ადამიანურათ ცხოვრებას... შეთვისდენ დაშორებულები საერთო მიზნისთვის, საერთო საჭიროებისთვის... დიახ! სდუღს მთელი რუსეთი. სდუღს მთელი ევროპა, სდუღს მთელი აზია და უწყინარი ამერიკაც ჩაითრია ამ ფერხულში!

სიმართლით სთქვა ერთმა გამოჩენილმა ებრაელმა ქ. მოსკოვის ერთ ებრაელების კონფერენციაზე:

„ისტორიას არ ახსოვს კაცობრიობის ასეთი საერთო გამოღვიძება, ასეთი საერთო მუშაობა... ინტერნაციონალისტები იბრძვიან საერთო კაცობრიობის ბედნიერებისთვის, ყოველი ერის საუკეთესო შვილები კი იბრძვიან თავიანთი ერისთვის... ყოველ ერს „თვის განსაკუთრებული საჭიროება„ აქვს და იბრძვის მის დასაკმაყოფილებლად... ვინ არ ლაპარაკობს თავის „საჭიროებისათვის“? ვინ არ ყვირის თავის „ტკივილზე“? ვინ არ იბრძვის თავის „ეროვნულ თავისუფლებისათვის“? ყველა პატარა ერი მიუხედავათ ძლიერი ერების და სახელმწიფოების დაპირებისა, მაინც მსხვერპლი გახდა დღევანდელი მსოფლიო ომისა, და „დასისხლიანებული დაჭრილი“ გულით მაინც იკრეფს ძალებს, ერთდებიან და თავისი მომავალი არსებობისთვის დღე და ღამ იბრძვის“!

ყველაზე მეტათ ტანჯულმა ებრაელმაც გამოიღვიძა! რუსეთის „ვოლგა დნეპრის“ ნაპირებთან მცხოვრები ებრაელები ატლანტიის ზღვის იქით“ მცხოვრებ ებრაელებს გამოეხმაურა. საერთო გაჭირვებამ დემოკრატიული პარტიები დაუკავშირა ბურჟუაზიულ პარტიებს... ბურჟუაზიის იდეალოგი ნიუიორკელი მილიონერი ბ. შიფი ორტოდოქსებს გვერდში ამოუდგა და საერთო „ერემონია“ შეიქმნა ებრაელის ერშიაც! სად ნახავ ქვეყანას, სად ნახავ კუთხეს, თუ კი იქ ებრაელის ცხოვრობს, რომ იქ არ ღელავდეს ებრაელების გული არ ფეთქავდეს ებრაელების სული? შეკავშირება ორგანიზაციებისა—კულტურის გამავრცელებელ საზოგადოებების დაარსება— ,,მელამედების‘‘ (მასწავლებლების) კავშირი—რაბინების მწერლების—საბავშო ბაღების (გან აიელადიმ) დამაარსებელი—საღამოს კურსების ახალგასდაებისთვის დასაწყისი და საშუალო სასწავლებლების გამაუმჯობესებელი კავშირი უმაღლესი სასწავლებლების დამაარსებელი წრეების კავშირი და სხვადასხვა...

თუ საერთოდ კაცობრიობას ეტყობა დიდი გამოღვიძება, განსაკუთრებით ებრაელებს ხომ ნამეტნათ? ეს ორი კვირაა, რაც დავბრუნდი პეტროგრად მოსკოვიდან, დავესწარი მრავალ სხვადასხვა ებრაელთა კონფერენციებს და მიტინგებს. უნდა მოგახსენოთ, რომ თუმცა ჩემი გული ძაან ღელავდა სიხარულით ამნაირათ ტანჯული ერის შეერთებაზე და გამოღვიძებაზე, მაგრამ რაღაც საშინელი ჩუმი დარდი ჩრდილავდა ამ სიხარულს:

მაგონდებოდა რომ საქართველოს ებრაელობას ვერ უშველა ვერავითარმა ცვლილებამ, ვერავითარმა მოძრაობამ ვერ გამოაღვიძა იგინი, ვერ დაანახვა თავიანთი ნაკლი, ვერ გააგებინა თავიანთი საჭიროება... დღეს ჯიანველაც კი ცდილობს თავის განსაკუთრებულ საჭიროებისათვის... ნუ თუ მხოლოთ საქართველოს ებრაელობა გამოვიდა ასეთი „არსება“, რომ მას არც ძველ დროში და არც ახალ დროში არა გამოუჩნდათ რა „საერთო“?! აბა გადხედეთ, თუ რამე ეტყობათ გამოღვიძებისა? და მაშინ დამერწმუნებით, რომ არავითარი საერთო ხმაურობა მათ არ აღვიძებთ. პირიქით, თუ ვინმე გახდა „თავის“ თავის „უბედური“ და შეუდგა მათ გამოღვიძებას—ღმერთმან დაიფაროს—ძაან მაგარი ზურგი უნდა ქონდეს, რომ გაუძლოს მათ გამათრახებას. ამაში უმთავრეს როლს ასრულებს ქუთაისის ებრაელობის ერთი ნაწილი... მის ნაცვლათ, რომ თავისი ეკონომიური მდგომარეობით იმნაირი მეთაურობა გაუწიონ თავიანთ მოძმე ებრაელებს საქართველოში, როგორც მეთაურობას უწევს ქ. მოსკოვის ებრაელობა რუსეთის ებრაელებს, ის არის ყველა გამოღვიძების ხელის შემშლელი!...

ერთი ნაწილი სარწმუნოების სახელით გვეკვეთება: „გაყუჩდი! შენ სარწმუნოების წინაამდეგი ხარო“. ყოველი შენი მტკიცება—თვით სარწმუნოების წყაროებისგან, თვით რუსეთის უკიდრესი ფანატიკოსი რაბინების მწერლობისგან შენ მიერ გამოთქმულ აზრებზე რჩება, „ვითარცა ცერცვი კედელზედა“. მეორე ნაწილი გამოდის“ ქართველების“ სახელით: „გაყუჩდი! ჩვენ ეროვნებით ქართველები ვართო! არ გვინდა ებრაელების“ არაფერიო!. ნუ თუ განათლება, შეგნება, თვით-გამორკვევა, ადამიანურათ შეკავშირება და ქართველ ებრაელთა კულტურულათ და ნამდვილ რელიგიოზურათ წინმსვლელობა ეწინაამდეგება „ქართველებს“?! დეე, იყვნენ დამოუკიდებელნი ერთი მეორისა, მაგრამ ნუ იქნებიან ებრაელნი შეგნებულნი ადამიანნი. აი ასე უნდა დავახასიათო ჩვენი „მოქართველე ძმების“ მოაზრება-თორემ განა მარტო „დანგრევაა“ ბიჭობა?! აბა რას აშენებთ ხალხისთვის, მიჩვენეთ!

„მოქართველეთ“ და „მოფანატიკეთ“ გარდა, ახლა „მოდასელეთ“ მესამე ნაწილმა იჩინა თავი სოც. დემოკრატების სახით... ისინი სხვანაირ კილოზე გვიტევენ: „ჩვენ სოციალ-დემოკრატ. ვართ*), არავითარი ებრაულური საკითხი ჩვენ არა გვაქვს, როცა ღმერთი დაგვიხსნის და პალესტინაში წავალთ, მაშინ გვექნება ყველაფერი ჩვენიო. მანამდე კი, ნება არა გვაქვს უფლიდან, რომ ჩვენ ჩვენს საკითხზე გამოვსთქვათ რამეო. ჩვენ ძაან გვიყვარს ებრაელობა, ძაან გვიყვარს ჩვენი ყველაფერი და ებრაელებისთვის“ ცეცხლშიც დავიწვით, მხოლოთ ეწინაამდეგება ჩვენ პრინციპს, რომ ჩვენ საკუთარ საქმეზე ვილაპარაკოთ. ამიტომ გაყუჩდითო!“ ტყუილათ უმტკიცებ მათ—„ს. დემოკრატები არამც თუ ბორკილს გადებს პირზე, რომ შენ პირ-ვარამზე დაილაპარაკო, პირიქით იგი იყო და კიდეც არის ამხსნელი ბორკილისა დაკეტილი პირიდან უსამართლო მთავრობის ხელით. იყო და არის მაჩვენებელი ყველა ერისა და ხალხის საჭიროებისა, დამხმარე გაჭირვებულებისა“. აქაც კედელზე ცერცვის შეყრაა“.. იგინი ს. დემოკრატების სახელით ბევრს რასმე გეტყვიან იმისთანას, რომ, ვისაც ცოტაოდენი რამე ესმის ს. დ-ბის პროგრამისა, ყურში თითს დაიჭობს. ვიტყვი და გაიგონეთ ყველამ: ვიცი, ჩემი ლაპარაკით „ნაკვერჩხალს“ ვიყრი თავზე, მაგრამ ამდენმა ჩვენმა დაქვეითებამ აღარ მომცა მოსვენება და ძალაუნებურად უნდა წარმოვსთქვა: ვერ გაიგეს ჩვენმა „მოფანატიკეთ“, რანაირათ უნდა შენახვა ან დაცვა „წმინდა სარწმუნოებას“ და მისი სახელით ავნეს ხალხს... ვერ გაიგეს ჩვენმა „მოქართველეთ“ რანაირათ უნდა სიყვარული სამშობლოს, ერთგულება მოძმე ერს და სამსახური მისი აღდგენისთვის და აღორძინებისათვის? და ამ “მოქართველებმა“ ქართველების სახელით შეაჩერეს მუშაობა-წინმსვლელობა. ვერ მოიგო ქართველმა, სამაგიეროთ ბევრი გვეზიანა ჩვენ... ვერ გაიგეს „მოდასელეთ წმიდათა წმიდა პრინციპი ს.-დემოკრატებისა და მისი სახელით გვიკეტენ პირს—და ამნაირათ ჩირქსა სცხებენ წმინდათა წმინდა პრინციპს ს. დემოკრატებისას... აღარ იცი კაცმა, რა ჰქნა? ვის მიმართო, ვისთან იტირო და შენი დაჭრილი გულის დარდები ვის გაუზიარო?... მიყვარს მე ებრაელების „სარწმუნოების დამცველნი“ უღრმესი სიყვარულით, როდესაც ისინი იცავენ წმინდა სარწმუნოებას და მისი სახელით არ ჰლალატობენ ხალხის ინტერესებს და არ ჰხდიან მსხვერპლათ—თავიანთ თავისთვის. ვამაყობ იმ მოძმე ებრაელებით რომელნიც თავიანთი ნიჭით, სწავლით, განათლებით და უნარით აყვავებენ თავიანთ სამშობლოს და სახელმწიფოს, საცა მათ ბედმა არგუნა ცხოვრება... ისინი ფრაზებს არ გამოუდგებიან ხოლმე: „ებრაელები არა ვართო“, რათა სხვებს მოვაწონოთ თავი და მით დაუმეგობრდეთ არა! ისინი თავიანთ ერს ზურგს არ უქცევენ და სამშობლოს მაინც ერთგულათ ემსახურებიან. მხოლოთ მაშინ ვქადულობ, როცა ებრაელები სოციალისტები არიან, როს იგინი წმინდათ იცავენ თავიანთ მოძმე კარლმაქსის მოძღვრებას... და თუ ყველა ესენი მხოლოთ „მასკებს“ იფარებენ, მაშინ-კი მავნებელი არიან. ჩვენი, მავნებელი არიან იმ სახელისა, რომელსაც ისინი ატარებენ. ჯერჯერობით კი ამდენმა შეუგნებლობამ, ამდენმა გამოურკვევლობამ იმისთანა ზიანი მოგვაყენა, რომ ღმერთმა იცის, თუ ჩვენ მას გადაურჩებით! რას ფიქრობთ, ძმებო! ნუ თუ არ სჯობდა, რომ ერთათ მოგვეყარა თავი და ჩვენ საქმეებში, რა გვჭირია და რა არა, ერთათ მოგველაპარაკნა? რაბინებო! სარწმუნოების „დამცველნო“! წაიკითხეთ მოწოდება „ადმორის“ (უფროსი რაბინი—ქ. ლიბავიჩში) და, თუ მართლა სარწმუნოება გიყვართ, ისე მოიქეცით!.. „მოქართველებო“! განა თვით ქართველების ინტერესი არ მოითხოვდა, რომ ჩვენ ჩვენი საკითხები გამოგვერკვია, შეგვემუშავებინა და გაეგოთ მათაც, ჩვენ რა გვჭირია? ნუ თუ ისინი არ არიან ამით დაინტერესებული აბა რას გვიშლით ხელს თქვენი ,,მოქართველეობით‘‘? გაგვიშვით! გამოვარკვიოთ ჩვენი სურვილი და მაშინ დაინახავთ, რომ ქართველი ერი მადლობელი დარჩება ჩვენი!...

,,მოდასელებო‘‘! თუ კი ნამდვილი სოციალისტები ხართ, მაშ, რათ გვისპობთ საშუალებას, რომ თავისუფლათ გამოვსთქვათ ჩვენი აზრი? დაეკითხეთ ს. დემოკრატების ბელადებს, თუ მათაც არ გირჩიონ, რომ მოვიყაროთ თავი და ჩვენი საჭიროება მალე გამოვარკვიოთ. თუ თქვენ დაგეზარებათ ამაზე კითხვა მაშ მე მოგახსენებთ ს. დემოკრატების ბელადის ბ. გეგეჭკორის აზრს...

როდესაც ქ. პეტროგრადში გავემგზავრე, ვინახულე ბ. გეგეჭკორიდა მან გადმომცა რომ ,,იგი სრულიათ მომხრეა იმისი, რომ საქართველოს ებრაელობამ მოახდინოს კრება და გამოარკვიოს თვისი მოთხოვნილებანი და მზათაცაა დახმარება გაგვიწიოს‘‘. ახლა გასაჯეთ, ბ-ნნო მკითხველნნო! რა ყოფილა მიზეზი ჩვენი ასეთი ,,გაყინვისა‘‘, ,,უმოქმედობისა‘‘, ,,შეუგნებლობისა‘‘ და ,,შეუერთებისა‘‘, თუ არა თვით ჩვენი გონებრივი დაქვეითება და შეუგნებლობა.

კმარა! კმარა! ღვთის გულისათვის! გაიღვიძეთ ახალგაზრდანო და მოხუცებულნო, რაბინნო და ერის კაცნო! შეიგნეთ! შეუშვით სინათლე თვალში, გონება თავში, ნუ გიპყრობთ ეგოიზმი! ნუ გიპყრობთ ჟინიანობა! თორემ დაიღუპებით! თუ არ ახლა, ბოლოს გვიან იქნება! თუ ახლა არ გავიგეთ რა გვჭირია და რა უნდა წარმოვიდგინოთ ქართველი ხალხის მოქმედ პარტიებს, შემდეგ გვიან იქნება! იყვირებთ? არავინ გაგიგონებთ! იტირებთ. არავინ მოგხედავთ! და თქვენკი ხელის შემშლელნო მოგელით-ისტორიული წყევლა და კრულვა!.. ისტორიული ჯოჯოხეთი!..

მოგმართავთ ქართველნო! დაგვეხმაროთ და ეს დახმარება თქვენთვისაც იქნება სასარგებლო! მოგმართავთ ქართველო სოციალისტებო! თქვენ ებრაელობა რუსეთში ლოცვა-კურთხევით გიხსენიებს არ დაუვიწყია თქვენი ამაგი და არც დაივიწყებს... საქართველოს ებრაელებსაც უგდეთ ყური! დაგვეხმარეთ, მოვაწყოთ ჩვენი შინაგანი საქმეები ისე, როგორც გვავალებს ჩვენი სარწმუნოება და, ეროვნება!

დასასრულ, მოგიწოდებთ სრულიად საქართველოს ებრაელნო! დადგა დრო, რომ გონს მოვიდეთ! დადგა დრო, რომ გამოვიცალოთ ყურიდან ,,ბამბა‘‘! დადგა დრო, რომ ავამუშაოთ ჩვენი დიდი ხნის მიყუჩებული ძალები და ერთათ შევუდგეთ ჩვენი შინაგანი საქმეების გამორკვევას! დადგა დრო, რომ ამოვიღოთ ხმა და ვიბრძოლოთ ჩვენს საკუთარ უფლებებისკენაც. შეუერთდით, ამოუდგეთ მხარში მას, ვინც მოგვიწოდებს ჩვენი ბედნიერებისაკენ...*)

ონის ებრაელების რაბინი

დავით ბააზოვი.

P. S. ვთხოვ სხვა ქართულ გაზეთებს, თუ იგინი ემსახურებიან ,,ჭეშმარიტებას‘‘ და სწამთ სხვა ტანჯული ერიც, გადაბეჭდონ ეს წერილი...

ო. ვ. რ. დ. ბ.

*) ასე მითხრეს ქ. ქუთაისში ერთ კრებაზე.

*) ვსტამბავთ ამ წერილს, რათა ბ. ბააზოვს თავისი აზრების გამოთქმის საშუალება მივსცეთ, მაგრამ რადგან ავტორის ზოგიერთ აზრს არ ვიზიარებთ, ამ დღეებში ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება წერილი, რომელიც გაარკვევს ჩვენს შეხედულებას ქართველ ისრაელთა კითხვის შესახებ.

## ქვირფას მასწავლებლის, ელენე ვ. ხელთუფლიშვილის ხსოვნას.

გულის სიღმეში ჩამწვდა ის სიტყვები, გაზეთში რომ წავიკითხე, ელენე ხელთუფლიშვილის ასული ტრაღიკულად გარდაიცვალაო. ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო, რამ მიიყვანა იმ წუთამდის თქვენი წყნარი ხასიათი და მახვილი გონება, რომ ასეთ უეცრად გამოესალმეთ ახლად აყვავებულს წუთისოფელს. ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო, თქვენი სიკვდილის ამბავი გლოვის ზარივით მოედვა სუყველგან და მერე კი ჩვენს სასწავლებელში რად მოსცილდით თქვენს საყვარელ მოწაფეებს რომლებთანაც გიყვარდათ ტკბილი ბაასი. ის სიტყვები, რომელიც თქვენ ჩანერგეთ ჩვენს გულში. მუდამ დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის. რა თავზარი დაგვეცა! როგორი მასწავლებელი დავკარგეთ, როგორი მასწავლებელი მოგვშორდა! თქვენ სახელს არასოდეს არ დავივიწყებთ ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო, არ იფიქროთ, რომ ჩემი მოწაფენი დამივიწყებენო.

არა, თქვენ სახელს, სანამ ცოცხალი ვიქნებით, არ დავივიწყებთ. განისვენეთ ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო სადაც მართალნი განისვენებდეს.

თქვენი მოწაფე

ლუბა გოგსაძის ასული

# რუსეთი.

შავი ჭირი.

**ურალსკი.** ივნისი 24. ყირგიზების 2 სოფელში იყო შემთხვევები შავი ჭირით ავად გახდომისა. მიღებულია ზომები მის გავრცელების წინააღმდეგ.

წერეთელი და უფლების სიმტკიცე.

ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა წერეთელმა ბრძანება გამოსცა, რომელშიაც ნათქვამია, 60-60 მანეთი სულ მოკლე ხანში მოემატებათ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურებსო. ეს ბრძანება ფრიად საინტერესოა მეორეს მხრით: წერეთელი ამცნობს ხელქვეითებს, რომ ფოსტა-ტელეგრაფის დირექტორს ის დანიშნავს და მოსამსახურეთა მიერ არჩეულ კანდიდატს სრულიად არ მიიღებს მხედველობაში.

ტუსაღების მდგომარეობის შემსუბუქება.

სატუსაღო ადგილების უფროსის ჟუკოვსკის ბრძანებით ეხლა ადგენენ ახალ პროექტს, რომლის ძალითაც ტუსაღთა მდგომარეობა ციხეებში ერთობ უნდა შემსუბუქდეს. პროექტში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული პატიმართა ზნეობრივად წრთვნასა და მათ განათლება განვითარებას.

გრ. ფრედერიკსის განთავისუფლება.

ყოფილი კარის მინისტრი ფრედერიკსი ავადმყოფობისა და მოხუცებულობისა გამო, გადაუწყვეტიათ 50000 მანეთის თავდებით გაათავისუფლონ.

ფოსტა-ტელეგრაფის უწესრიგობის მიზეზი.

მინისტრმა წერეთელმა გამოსცა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთადმი მიმართვა. რომელშიაც ის არკვევს, თუ რამ გამოიწვია, ფოსტა-ტელეგრაფის საქმის არევდარევა. მინისტრის აზრით დიდი ბრალი ედება ტეხნიკურ ჩამორჩენილობას, რომელიც ძველმა წესწყობილებამ დასტოვა. მაგრამ მთავარ მიზეზად მინისტრს სამართლიანად მიაჩნია ის გულგრილობა და გულცივობა, რომელსაც ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი თავის მოვალეობის ასრულების დროს იჩენენ. ძველი მთავრობა ამბობს მინისტრი, მოსამსახურეებს სამსახურიდან დათხოვნით აშინებდა, ერთი ორად ამუშავებდა, ხოლო ჯამაგირს კი ნაკლებს აძლევდა. ეხლა კი მიუხედავად ჯამაგირის გადიდებისა მაინც მუყაითად არ იქცევიანო, მიმართვის ბოლოში მინისტრი ხაზს უსვამს, რომ პროფესიონალურ ორგანიზაციებს მხოლოდ სათათბირო ხმა აქვთ და არა გადამწყვეტი, მათ არ შეუძლიათ თანამდებობიდან დათხოვნა-დანიშვნა. ამის უფლება, მინისტრის სიტყვით მხოლოდ მას აქვს, როგორც მთელი რუსეთის დემოკრატიის წინაშე პასუხის მგებ პირს.

ქალაქის თვითმართველობათა ქონების გაძლიერება.

ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით ... განსაკუთრებული თათბირი ქალაქის თვითმართველობათა ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად. სამუნიციპილო პირდაპირ და არა პირდაპირ გადასახადების პროექტი უარყოფილ იქნა.

თათბირი იმ აზრს დაადგა რომ თვითმართველობათა ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად უნდა განვითარდეს სამუნიციპალო წარმოება. აგრეთვე დაადგინეს ბინაზე და სახლზე შეწერილი გადასახადი ქალაქის თვითმართველობათა განკარგულებაში გადავიდეს.

ანარქისტების საქციელი.

იუსტიციის მინისტრის მდივანთან მისულა ერთი ახალგაზრდა და განუცხადებია: დურნოვოს აგარაკზე დატუსაღებულ ანარქისტების ჩვენება ყალბიაო. მაგალითად ერთმა განაცხადა ილია გოლდშტეინი ვარო, ნამდვილად კი ეს გვარი მე მეკუთვნის, ხოლო ჩემი დოკუმენტები მათ ტრამვაიზე ამომაცალეს ჯიბიდანაო.

დურნოვოს აგარაკის ახალი „პატრონები“

საზღვარ გარეთიდან ჩამოვიდა და დურნოვოს აგარაკში დასახლდა 50 ანარქისტი-ემიგრანტი.

ქალი სენატორები.

ახლო მომავალში სენატის მუდმივ წევრებად დანიშნავენ ქალებს. პირველ სენატორებად ქალებიდან იქნებიან ქნი ნეჩაევისა და ლოტკოვ-სულტანოვისა.

კრონშტადტელები და სამხედრო ფორმა.

კრონშტადტის და მუშ. ალმ. კომიტეტისა და სამხედრო კომიტეტების შეერთებულმა სხდომამ დაადგინა მოისპოს არსებული სამხედრო ფორმა და მის ნაცვლად შემოღებული იქნეს რაიმე უპრალო ნიშნები. სხდომამ უარჰყო კერენსკის ბრძანება ჯარის კაცთა სახლში გაშვების აღკრძალვის შესახებ.

# უცხოეთი.

ციმერვალდი.

პეტროგრადის მუშ. და ჯარ. ალმ. კომიტეტის ბიურომ საზღვარ გარეთიდან ცნობა მიიღო, რომ აგვისტოში მოწვეული იქნება ციმერვალდის სოციალისტური კონფერენცია.

რუსის და იაპონიის საზღვაო ბრძოლა.

,,ჰფოსიშე ცაიტუნგი‘‘ სწერს: ბრიტანეთის ერთი გემი კარახიდან (შორეული აღმოსავლეთი) იტყობინება, რომ მაისის შუა რიცხვებში ვლადივასტოკის ახლოის მოწმე გახდა რუსეთისა და იაპონიის გემების ბრძოლისა. იაპონელებმა რუსები დაამარცხეს და ერთი გემი თან წაიყვანეს. რუსეთის გემზე ყოფილან დაჭრილნი და დახოცილნი. რუსეთის საამირბაროს მთავარი შტაბი ამ ცნობას უარჰყოფს.

მუშების აჯანყება ავსტრიაში.

ავსტრიის ქ. ვიტოვიცაში 6 თიბათვიდან მუშების აჯანყება დაიწყო, რომელიც ჯარმა ჩააქრო. გაზეთების გადმოცემით მსხვერპლი დიდი ყოფილა.

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ექიმები:

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.